

ენა და ენათმეცნიერება

მიმღებურ ფორმათა სტრუქტურული მახასიათებლები მარკოზის სახარების ათონურ რედაქციაში

თამაზ დევიძე

tamaz.devidze@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.09>

მიმღებობა ზმნისაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელია. მიმღებურ ფორმათა ანალიზი, ტრადიციულად, საუღლებელ ერთეულთა კლასიფიკაციას ეფუძნება. წარმოების თვალსაზრისით, მიმღებური ფორმები მრავალფეროვანია და ეს მრავალფეროვნება ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურის, არაერთი დიალექტური წრის მონაცემთა ასახვითაა შეპირობებული. სინქრონიულ დონეზე არაერთი წარმოშობით მიმღებური ფორმა არსებით სახელადაა გააზრებული. მორფოლოგიური თვალსაზრისით, ვფიქრობთ, ამგვარი ფორმები მაინც მიმღებებია, რადგან მათში ადვილად ამოიცნობა მიმღებობის ყალიბი. გასულსტანტივების პროცესის შედეგებზე საუბარი მხოლოდ სინტაქტურ დონეზეა შესაძლებელი, რადგან ენა, როგორც სისტემა, მხოლოდ სინტაქსის დონეზე არსებობს. სტატიაში განხილულია მარკოზის სახარების ათონურ რედაქციაში დადასტურებულ მიმღებურ ფორმებს სტრუქტურის თვალსაზრისით. ანალიზის სისრულისათვის ემპირიული მასალა შევუდარეთ სხვა რედაქციათა ჩვენებებს. რაც მთავარია, გავითვალისწინეთ ტექსტის ძველბერძნული იკითხვისები.

**საკვანძო სიტყვები:** მიმღებობა, სტრუქტურა, მარკოზის სახარება, რედაქცია, იკითხვისი.

მიმღებობა ზმნისაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელია. მიმღებურ ფორმათა ანალიზი, ტრადიციულად, საუღლებელ ერთეულთა კლასიფიკაციას ეფუძნება. გამომდინარე აქედან, განარჩევდნენ მოქმედებითი, ვნებითი და საშუალო გვარის მიმღებობებს (შანიძე 1973: 570-572). სამეცნიერო ლიტერატურაში, სხვა, გაცილებით მოსახერხებელი, და, ჩვენი აზრით, მართებული ტერმინებია შემუშავებული, როგორცაა: „სასუბიექტო მიმღებობა“ და „საობიექტო მიმღებობა“.

წარმოების თვალსაზრისით, მიმღებური ფორმები მრავალფეროვანია და ეს მრავალფეროვნება ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურის, არაერთი დიალექტური წრის მონაცემთა ასახვითაა შეპირობებული. ამის თაობაზე ა. შანიძე შენიშნავს: „არსად არ არის არეული ერთმანეთში

## თ. დევიძე

---

სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა კილოს ქონება, როგორც მიმღეობის ფორმებში“ (შანიძე 1973: 569).

მიმღეობის ყალიბები ახალ ლექსიკურ ერთეულთა წარმოქმნის საშუალებაა. ეს ბუნებრივი პროცესია, მაგრამ მათი ანალიზისას გასათვალისწინებელია სასუბიექტო მიმღეობათა გასუბსტანტივების მძლავრი ტენდენცია. ამ პროცესის შედეგია წარმოშობით მიმღეობურ ფორმათა განხილვა არსებით სახელებად (მაგალითად: **მწერალი, მხატვარი, მკურნალი...**) (ფეიქრიშვილი 1992: 247).

აღწერითი მსჯელობისათვის ამ ფაქტის აღნიშვნა საკმარისი იქნებოდა, თუმცა ნებისმიერ ფაქტს სჭირდება არგუმენტირებული ახსნა, რათა უკეთ გამოვლინდეს ენის განვითარების ტენდენცია. მიმღეობათა გასუბსტანტივების ისტორიული პროცესის გამომწვევ მიზეზზე საინტერესო მსჯელობას ვხვდებით არნ. ჩიქობავასთან:

„საკმარისია მოიშალოს ის ზღუდე, რომელსაც დრო ქმნის და მიმღეობა გადაიქცევა ჩვეულებრივ ნაწარმოებ სახელად, ზედსართავ ან არსებით სახელად. ჩვეულებრივ მ- პრეფიქსიანი მიმღეობა დამოუკიდებლად ხმარებულ არსებით სახელს უფრო მოგვაგონებს, ვინემ სხვა სახელის მსაზღვრელად ხმარებულ ზედსართავს“ (ჩიქობავა 1942: 185).

სინქრონიულ დონეზე არაერთი, წარმოშობით მიმღეობური, ფორმა არსებით სახელადაა გააზრებული. მორფოლოგიური თვალსაზრისით, ვფიქრობთ, ამგვარი ფორმები მაინც მიმღეობებია, რადგან მათში ადვილად ამოიცნობა მიმღეობის ყალიბი. გასუბსტანტივების პროცესის შედეგებზე საუბარი მხოლოდ სინტაქტურ დონეზეა შესაძლებელი, რადგან ენა, როგორც სისტემა, მხოლოდ სინტაქსის დონეზე არსებობს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მორფოლოგიური (სტრუქტურული) ანალიზისას განვიხილავთ ისეთ მიმღეობურ ფორმებსაც, რომელთაც სახარების ტექსტის თარგმნისა და რედაქტირების პროცესში უკვე დაკარგული ჰქონდათ მიმღეობის გაგება და არსებით სახელებად იყვნენ ქცეულნი, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ფაქტი ვერ ცვლის აღნიშნულ ფორმებში სათანადო ყალიბის არსებობას.

ამჯერად მხოლოდ მარკოზის სახარების ათონურ (წმინდა გიორგი მთაწმინდელის) რედაქციაში დადასტურებული მიმღეობური ფორმები განვიხილეთ. ძირითად მასალად ავირჩიეთ მარკოზის სახარების გიორგი მთაწმინდელის რედაქციის ტექსტი (ქართული ვულგატა)<sup>1</sup>. ანალიზის სისრულისათვის ემპირიულ მასალას შევუდარეთ სხვა რედაქციათა

---

<sup>1</sup> სახარების წმინდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციის ტექსტის განხილვისას ვერდნობით **H** (ვანის ოთხთავი - A-1335, XII-XIII სს.); **I** (ეჭმიაძინის ოთხთავი - XII-XIII სს.) და **K** (გელათის ოთხთავი - Q-908, XII-XIII სს.) ნუსხებს.

ჩვენება. რაც მთავარია, გავითვალისწინეთ ტექსტის ძველბერძნული იკითხვისები.

როგორც აღვნიშნეთ, უფრო ზუსტად და მოსახერხებლად მიგვაჩნია ტერმინები „სასუბიექტო მიმღობა“ და „საობიექტო მიმღობა“. კლასიფიკაციის ამ სქემის მიხედვით გვაქვს აგებული მიმღობურ ფორმათა ანალიზი.

### ა) სასუბიექტო მიმღობა

როგორც ცნობილია, ამ ტიპის მიმღობათა უკლებლივ ყველა ყალიბში გამოიყოფა მ- პრეფიქსი. არნ. ჩიქობავას აზრით, იგი თავდაპირველად ადამიანის კლასზე მიუთითებდა:

„თუ აწმყო დროის მიმღობა მოქმედებითი გვარისაა, ამის სათავეა პირვანდელი მნიშვნელობა მ- პრეფიქსისა სახელთაგან ნაწარმოებ სახელებში: მ- ადამიანს აღნიშნავს და აქტიურ საწყისს განეკუთვნება; და პირუკუ: ვნებითი გვარისაა მყოფადის მიმღობა იმიტომ, რომ სა-პრეფიქსი ნივთის კატეგორიის ნიშანია ისტორიულად, იგი პასიურს, უმოქმედოს შეეფერება (ეგევე ითქმის ნა- პრეფიქსით ნამყოში ვნებითის წარმოების შესახებ)“ (ჩიქობავა 1942: 184).

ეს გარემოება სასუბიექტო და საობიექტო მიმღობის ფორმათა შორის დროის გამოხატვის მიხედვით არსებული ოპოზიციის ახსნაცაა. ზოგადად, ქართულ მიმღობაში საინტერესოა დროის კატეგორიის არსებობის საკითხი. ა. შანიძე შენიშნავს:

„დროულ გაგებას გვამღევს არა სამივე გვარის ზმნები, არამედ ვნებითი გვარისა და საშუალოთაგან მხოლოდ ვალ ფუძისანი“ (შანიძე 1973:568).

მაშასადამე, ნამყო და მყოფადი დროების გამოხატვა მხოლოდ საობიექტო მიმღობებს შეუძლია, სასუბიექტო მიმღობა, დიაქრონიული თვალსაზრისით, აწმყო დროისა იყო, თუმცა დროის გაგება ამ ფორმებში თანდათან დაიჩრდილა.

ამის გარკვევა საჭირო და ფასეულია იმდენად, რამდენადაც ძველბერძნულ ენაში მიმღობურ ფორმებს უდასტურდება განსხვავებული მორფოლოგიური კატეგორიები: დრო, გვარი, ბრუნვა, სქესი და რიცხვი. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ძველბერძნულ ენაში ზმნის პარადიგმის ყველა წევრს (სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა დროს) საკუთარი მიმღობა მოეპოვება (Меჩух 2021: 176-178). სახარების ტექსტში დადასტურებულ ფორმათა განხილვა, უპირველეს ყოვლისა, ორიგინალთან<sup>1</sup> მიმართების გარკვევას გულისხმობს. რამდენად შეიძლება

<sup>1</sup> **ორიგინალი.** როგორც ტერმინი, მიუღებელია სახარების ბერძნულ ტექსტთან მიმართებით. საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბდა ბიბლიურ წიგნთა ტექსტების არაერთი ტიპი, რაც, ბუნებრივია, არაერთგვაროვანს ხდის თარგმანის მათთან მიმართების

## თ. დევიძე

---

დავუკავშიროთ სასუბიექტო მიმღეობაში აწმყოს გაგების დაჩრდილვა ხანგრძლივ მთარგმნელობით ტრადიციას, ცალკე კვლევის საგანია, მაგრამ ფაქტია, რომ სასუბიექტო მიმღეობა საჭიროებისამებრ გადმოსცემს სხვადასხვა დროის გამომხატველ ძველბერძნულ მიმღეობებს.

სანამ ამ საკითხს უფრო ღრმად განვიხილავთ, მანამდე დავიმოწმოთ სასუბიექტო მიმღეობის ყალიბები, რომლებიც საანალიზო მასალაში დადასტურდა.

### მა-R

#### გარდამო-მა-ვალი

„სული ღმრთისაჲ **გარდამომავალი**, ვითარცა ტრედი, მის ზედა“ (მარკ. 1:10 HIK)...

### მ-R-არე

#### მ-წუხ-არე

„და მიმოიხილა მათდა რისხვით და **მწუხარედ** სიბრმისათჳს გულთა მათთაჲსა და ჰრქუა კაცსა მას: განირთხ კელი შენი!“ (მარკ. 3:5 HIK);

### მ-ღვიძ-არე

„არამედ იხილეთ და მღჳძარე იყვენით“ (მარკ. 13:33 HIK)...

### მ-R-th.suf.-არ

#### მ-თესვ-არ-ი

„გამოვიდა **მთესვარი** თესვად“ (მარკ. 4:3 HIK)...

### მ-მურკნვ-ალ-ი

„ყოველსავე **მმურკნვალსა** ქუეყანასა ზედა ვერ კელ-ეწიფების ეგრეთ განსპეტაკებად“ (მარკ. 9:3 HIK)...

### მ-R-ომ-არე

#### მ-ჯდომ-არე

„და წარ-რად-ვიდოდა, იხილა ლევი ალფესი, **მჯდომარე** საზუერესა ზედა, და ჰრქუა მას: მომდევდი მე. და აღდგა და მისდევდა მას“ (მარკ. 2:14 HIK)...

### მ-დგომ-არე

„ხოლო ოდეს იხილოთ სამაგელი იგი მოოწრებისაჲ, თქუმული დანიელ წინაწარმეტყუელისაჲ, მდგომარე, სადა-იგი არა ჯერ-არს“ (მარკ. 13:14 HIK)...

### მო-R-არ

#### მო-ძღუ-არ-ი

„რადსალა აშრომებ **მოძღუარსა**“ (მარკ. 5:35 HIK)...

### მ-R-ელ

---

საკითხს. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ არა ტექსტობრივ, არამედ გრამატიკულ ფორმათა მიმართებას, რის შესახებაც მსჯელობის საშუალებას გვაძლევს ახალი აღთქმის ბერძნული ტექსტის კრიტიკული ტექსტი.

**მ-კელობ-ელ-ო**

„უმჯობეს არს შენდა **მკელობელისა** შესლვად ცხორებასა“ (მარკ. 9:45 HIK)...

**მ-თხოვ-ელ-ო**

„ჯდა გზასა თანა **მთხოვლად**“ (მარკ. 10:45 HIK)...

**მ-სყიდ-ელ-ო**

„დასასხდომელები იგი **მსყიდელთა** მათ ტრედისათა დაუმჯუა“ (მარკ. 11:15 HIK)...

**მა-R-th.suf-ელ**

**მა-შენ-ებ-ელ-ო**

„არცაღა ესე წიგნი აღმოგვიტხავსა: ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს **მაშენებელთა**, ესე იქმნა თავ კიდეთა?“ (მარკ. 12:10 HIK)...

**მე-R-ელ**

**მე-ტყუ-ელ-ო**

„რამეთუ არა თქუნ ხართ **მეტყუელნი**, არამედ სული წმიდაა“ (მარკ. 13:11 HIK)...

მიმლეობის დადასტურებულ ყალიბთაგან, სინქრონიულ დონეზე ყველა პროდუქტიული არ არის. მაგალითად, **მო-R-ედ** ყალიბი ერთადერთ მიმლეობურ ფორმაში დასტურდება, სხვა შემთხვევა ჯერ გამოვლენილი არ არის. იგივე შეიძლება ითქვას **მო-R-არ** და **მე-R-ელ** ყალიბთა შესახებაც.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ დროის გაგება სასუბიექტო მიმლეობაში ადვილად იჩრდილება. საპირისპიროდ ამისა, იგი ბერძნული მიმლეობისთვის ერთ-ერთი ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიაა. ქართულში დროის კატეგორია სრულყოფილად ერთადერთი ზმნური ფუძისაგან ნაწარმოებ მიმლეობას მოეპოვება. ესაა **ვალ**.

ქართული სასუბიექტო მიმლეობა ძველბერძნულ სხვადასხვა დროის მიმლეობის შინაარსობრივ ფუნქციას ასრულებს. ამის საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალიტს:

„Ὅταν δὲ ἴδῃτε τὸ βδέλυγμα τῆς ἐρημώσεως ἐστηκότα ὅπου οὐ δεῖ, ὁ ἀναγινώσκων νοείτω, τότε οἱ ἐν τῇ Ἰουδαίᾳ φευγέτωσαν εἰς τὰ ὄρη“ (Μαρκ. 13:14)

დამოწმებულ მუხლში **ἐστηκότα** ნამყო დროის (უფრო ზუსტად პერფექტის) მიმლეობაა. ყველა ქართულ რედაქციაში ეს ფორმა ნათარგმნია როგორც **მდგომარე**.

Ὅς ἂν ἐν τῶν τοιοῦτων παιδῶν δέξῃται ἐπὶ τῷ ὀνόματί μου, ἐμὲ δέχεται· καὶ ὁς ἂν ἐμὲ δέχῃται, οὐκ ἐμὲ δέχεται ἀλλὰ τὸν ἄποστειλαντά με (Μαρκ. 9:37)

**Ἀποστειλαντά** აორისტის (ნამყო ძირითადის) მიმლეობაა. ამ მუხლის ქართული იკითხვის, გიორგი მთაწმინდელის რედაქციის მიხედვით, ამგვარია:

## თ. დევიძე

„რომელმან ერთი ამათგანი ყრმად შეიწყნაროს სახელისა ჩემისათვის, მე შემიწყნაროს; და რომელმან მე შემიწყნაროს, არა მე შემიწყნაროს, არამედ **მომავლინებელი ჩემი**“ (მარკ. 9:37 HIK)

ანალოგიური ვითარებაა ოთხთავის დანარჩენ რედაქციებში.

„ὁ δὲ αὐτὸς ἔστιν· κρατήσατε αὐτὸν καὶ ἀπάγετε ἄσφαλῶς“ (Μαρκ. 14:44)

**παράδεισος** აწმყოს მიმღეობაა. ქართულ რედაქციებში ეს ფორმა ნათარგმნია როგორც **მიმცემელსა**.

ემპირიული მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ავტოაქტივებში (ტრადიციული კლასიფიკაციით: მედიოაქტივებში) **მ-R-არე** ყალიბი გაცილებით პროდუქტიულია, ვიდრე აქტივებში. ყალიბთა ურთიერთმიმართების გარკვევას ბუნებრივად მივყავართ ავტოაქტივთა და აქტივთა ისტორიული ურთიერთობის საკითხთან. ავტოაქტივები ისტორიულად აქტივთა ამოსავალნი არიან, შესაბამისად, ძირითადად ერთგვარი უნდა იყოს მათგან მიმღეობათა საწარმოებელი ყალიბები.

**-არე** და **-არ** სუფიქსთა ურთიერთმიმართების საკითხს შეეხო ა. შანიძე და ფიქრობს, რომ ეს სუფიქსები ერთი წარმომავლობისაა, თავდაპირველად უნდა ყოფილიყო **-არე**, რომლისგანაც მივიღეთ **-არ**, რადგან **ე** ხმოვანი სახელობითი ბრუნვის ნიშნად იქნა გააზრებული და დაიკარგა (შანიძე, 1973: 580). ბოლოკიდური ე-ს დაკარგვა არის ფაქტი, მაგრამ რა არის ამ ფაქტის მიზეზი?

შეიძლება დავესვათ შეკითხვა, რამდენად სწორია ა. შანიძის თვალსაზრისი ამ სუფიქსთა იგივეობის შესახებ. რამდენად შეიძლება ვივარაუდოთ ამგვარ ფორმათა არსებობა: **მთესვარე, მწერალე (< მწერარე) და ა. შ.**

**მ-R-არე** ყალიბის ავტოაქტივებში გამოყენებას შესაძლოა დიურატიულობასთანაც ჰქონდეს კავშირი, მით უფრო იმ ისტორიული ვითარების ფონზე, როცა დროის კატეგორია ქართულში მომენტობრივი და დიურატიული ასპექტების ოპოზიციამდე დაიყვანება. ასეთ შემთხვევაში **-ე** ხმოვნის დაკარგვა გასუბსტანტივების ისტორიული პროცესის თანამდევ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. თუ ეს ვარაუდი სწორია, როგორ აიხსნება გასუბსტანტივებული მიმღეობის **მდულარე**-ს არსებობა? ვფიქრობთ, საკითხი შემდგომ, უფრო საფუძვლიან, კვლევას საჭიროებს.

სასუბიექტო მიმღეობის ყალიბთაგან საყურადღებოა ე.წ. საწყისიანი ყალიბი – **მ-R-ომ-არე**. ზმნები, რომლებიც სასუბიექტო მიმღეობას ამ ყალიბის გამოყენებით აწარმოებენ, ცოტაა. ესენია მეორე დიათეზის სტატიკური ზმნები (I ქვეჯგუფი) ე.წ. მედიოპასივები. თუ **-ომ** სუფიქსს საწყისის მაწარმოებლად გავიაზრებთ, მაშინ ეს ფაქტი სათანადო ახსნას მოითხოვს. საინტერესოა ფორმათა დაპირისპირებაც:

**მ-დგომ-არე – მ-დგ-არ-ი – მ-დგომ-ი**

ეს ოპოზიცია საინტერესოა ყალიბთა დაპირისპირების თვალსაზრისითაც.

აღსანიშნავია, რომ არნ. ჩიქობავა **-ომ** და **-ოლ** სუფიქსებს არ განიხილავდა საწყისის მაწარმოებლად:

„ასეთ მასდარში -ო განეკუთვნება ზმნის ფუძეს და წუხ-**ო**-ლ-ის ტიპის მასდარებში -ი-ს უდრის. ეს -ი- შეიძლება -ო-დ ქცეულიყო ზმნის ფუძისეული -ვ-ს გავლენით, როგორც ამას დეეტერსი ფიქრობს, ანდა მომდევნო მ-ს ზეგავლენით. -ლ-**II**-მ კიდევ ზმნის ფუძეს უნდა განეკუთვნოს“ (ჩიქობავა 1942: 223).

ვფიქრობთ, რომ **-ომ** და **-ოლ** მაინც საწყისის მაწარმოებლად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ამ ეტაპზე ზმნურ ფუძეში მათი არსებობის დამოწმებული დასაბუთება სარწმუნოდ არ მიგვაჩნია.

ტექსტში დასტურდება **R-ომ-არე** და **R-ომ-ელ** ყალიბთა მონაცვლეობის მაგალითი:

„და კუალად იხილა იგი მწევალმან მან და იწყო სიტყუად წინაშე **მდგომარეთა** მათ, ვითარმედ: ესეც მათგანივე არს.“

ხოლო მან კუალად უვარ-ყო. და შემდგომად მცირედისა ჟამისა წინაშე **მდგომელნი** იგი ეტყოდეს პეტრეს: ჭეშმარიტად მათგანი ხარ და რამეთუ გალილეველ ხარ, სიტყუადცა შენი გამოგაჩინებს“ (მარკ. 14: 69-70 HIK).

„εκαὶ ἡ παιδίσκη ἰδοῦσα αὐτὸν ἤρξατο πάλιν λέγειν τοῖς **παρεστῶσιν** ὅτι Οὗτος ἐξ αὐτῶν ἐστιν.“

ὁ δὲ πάλιν ἤρνεῖτο. καὶ μετὰ μικρὸν πάλιν οἱ **παρεστῶτες** ἔλεγον τῷ Πέτρῳ Ἀληθῆς ἐξ αὐτῶν εἶ· καὶ γὰρ Γαλιλαῖος εἶ“ (Μαρκ. 13:14).

ორივე ბერძნული ფორმა პერფექტის მიმღებობაა. მათ შორის ფორმოზრეც განსხვავებას მხოლოდ ბრუნვის კატეგორია ქმნის – **παρεστῶσιν** მიცემითში დგას, ხოლო **παρεστῶτες** – სახელობითში. შესაბამისად, ქართულში დადასტურებული ყალიბთა მონაცვლეობა ძველბერძნულის გავლენით არ არის შეპირობებული.

საგულისხმოა, რომ ადიშის ოთხთავში ორსავე შემთხვევაში დასტურდება ზმნური ფორმა:

„და მწევალმან მან იხილა იგი, იწყო სიტყუად, რომელ **დგეს** მუნ, ვითარმედ: ესე მათგანივეა.“

ხოლო მან უვარ-ყო. და შემდგომად მცირედისა ჟამისა რომელნი-იგი გარემოდს **დგეს** მისა, ეტყოდეს პეტრეს: ჭეშმარიტად მათგანი ხარ, რამეთუ ხარვე გალილეველ“ (მარკ. 14: 69-70 C).

აღსანიშნავია, რომ მიმდებარე კონსტრუქციის შეცვლა ზმნურით ოთხთავის ქართულ რედაქციებში საკმაოდ ხშირად დასტურდება.

## თ. დევიძე

---

სახარების ჯრუჭი-პარხლის რედაქციის მიხედვით, ორსავე შემთხვევაში დასტურდება **R-ომ-ელ** ყალიბი:

„მერმე კუალად მკვეალმან იხილა იგი და იწყო სიტყუად **წინაშემდგომელთა** მათ, ვითარმედ: ესეცა მათგანი არს.

ხოლო მან კუალად უვარ-ყო. და მერმე, შემდგომად მცირედისა ჟამისა, **წინაშემდგომელნი** იგი ეტყოდეს პეტრეს: ჭემმარიტად მათგანი ხარ და, რამეთუ გალილეველ ხარ“ (მარკ. 14: 69-70 DE).

### ბ) საობიექტო მიმღეობა

საობიექტო მიმღეობა ქართულში მხოლოდ ნამყო და მყოფადი დროისა შეიძლება იყოს. სასუბიექტო მიმღეობაზე მსჯელობისას დავიმოწმეთ არნ. ჩიქობავას მოსაზრება, რომ **მ-** პრეფიქსი სასუბიექტო მიმღეობის ყალიბში წარმოშობით ადამიანის კლასზე მიუთითებდა, შესაბამისად, მისივე აზრით, **ნა-** და **სა-** პრეფიქსები საობიექტო მიმღეობის ყალიბში ნივთის კლასს აღნიშნავდა (ჩიქობავა 1942: 184). საანალიზო მასალაში პრეფიქსიანი ყალიბით ნაწარმოები საობიექტო მიმღეობა სულ რამდენიმე დადასტურდა, შეუდარებლივ მრავალრიცხოვანია სუფიქსიანი ყალიბით ნაწარმოები ფორმები.

საობიექტო მიმღეობის ყალიბი:

#### ნა-R

#### ნა-ყოფ-ი

„და ჰრქუა მას: ნულარამცა ვინ ჭამს უკუნისამდე შენგან **ნაყოფსა**. და ესმოდა ესე მოწაფეთა მისთა“ (მარკ. 11:14 HIK).

ეს ფორმა დიდი ხანია გასუბსტანტივებულია. წარმოშობით იგი ნამყო დროის საობიექტო მიმღეობაა. ზოგადად, **ნა-R** ყალიბიანი მიმღეობები საანალიზო მასალაში თითქმის არ მოიძებნა.

#### R-ულ

#### განხუმ-ულ-ნი

„და მეყსეულად აღმოსლვასა მისსა მიერ წყლით იხილნა ცანი **განხუმულნი**“ (მარკ. 1:10 HIK)...

#### R-th.suf-ულ

#### მოახლებ-ულ

„**მოახლებულ** არს სასუფეველი ღმრთისაჲ“ (მარკ. 1:15 HIK);

#### განკეთროვნებ-ულ-ი

„მაშინ მოუჭდა მას ერთი **განკეთროვნებული**, ევედრებოდა მას და მუკლნი დაიდგინა და ეტყოდა“ (მარკ. 1:10 HIK)...

#### R-ომ-ილ

#### დავრდომ-ილ-ი

„ხოლო სიდედრი სიმონისი **დავრდომილ** იყო მჭურვალებითა. და უთხრეს იესუს მისთვის“ (მარკ. 1:30 HIK);



**განკროთომ-ილ-ი**

„და ესმა მის კერძოდსათა და გამოვიდეს შეპყრობად მისა, რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: **განკროთომილ** არს“ (მარკ. 3:21 HIK);

**აღდგომ-ილ-ი**

„და უკუეთუ ეშმაკი თავსა თვსსა ზედა **აღდგომილ** არს“ (მარკ. 3:26 HIK)...

**R-ელ**

**განხმ-ელ-ი**

„და მერმე შევიდა შესაკრებელსა, და იყო მუნ კაცი, რომელსა ჳელი **განხმელ** ედგა“ (მარკ. 3:1 HIK)...

**სა-R-ელ**

**სა-ყუარ-ელ-ი**

„და ჳმად იყო ზეცით: შენ ხარ ძე ჩემი საყუარელი, შენ სათნო-გიყავ“ (მარკ. 1:11 HIK);

**სა-წამებ-ელი**

„რომელი-იგი ბრძანა მოსე **საწამებელად** მათა“ (მარკ. 1:44 HIK)...

დამოწმებულ წინადადებებში **სა-R-ელ** ყალიბით ნაწარმოებ მიმღეობებს არა აქვთ მყოფადის გაგება.

საანალიზო მასალაში მიმღეობური ფორმებით გადმოიცემა როგორც ძველბერძნული მიმღეობები, ასევე ზედსართავი სახელები. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან მიმღეობის ძირითადი ფუნქცია სახელის გასაზღვრაა რაიმე ნიშნის მიხედვით. მაგალითად:

„და მოვიდეს მისა და მოაქუნდა **განრღუეული**“ (მარკ. 2:3 HIK);

„καὶ ἔρχονται φέροντες πρὸς αὐτὸν **παράλυτικὸν**“ (Μαρκ. 2:3).

**παράλυτικὸν** – ბრალდებით ბრუნვაში მდგარი მამრობითი სქესის ზედსართავი სახელია.

ანალოგიური ვითარებაა ამ შემთხვევაშიც:

„რამეთუ არა არს **დაფარული**, რომელი არა გამოცხადნეს“ (მარკ. 4:22 HIK).

„οὐ γάρ ἐστιν τι κρυπτὸν, ἐὰν μὴ ἴνα φανερωθῇ.“ (Μαρκ. 4:22).

**κρυπτὸν** სახელობით ბრუნვაში მდგარი ზედსართავი სახელია.

ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა ერთი მუხლი:

„მაშინ მოუჳდა მას ერთი **განკეთროვნებული**“ (მარკ. 1:40 HIK).

**კეთროვანი** სახარების ტექსტში არაერთხელ დასტურდება. ამ შემთხვევაში **-ოვან** სუფიქსიანი სახელის ნაცვლად, რომელიც უფრო მოსალოდნელი იყო, დასტურდება მიმღეობური ფორმა, რომელიც ნაწარმოებია ზმნისაგან **განკეთროვანება**. ბერძნულ ვერსიებში მას შეესატყვისება ზედსართავი სახელი:

„Καὶ ἔρχεται πρὸς αὐτὸν **λεπρὸς**“ (Μαρκ. 1:40).

## თ. დევიძე

---

მიმღეობური ფორმა დასტურდება ადიშის ოთხთავშიც:

„და მოვიდა მისა **განბოკლებული**“ (მარკ. 1:40 C).

საინტერესოა ქართული პროტოვულგატას, სახარების ჯრუჭი-პარხლის რედაქციის, ჩვენება:

„მაშინ მოვიდა მისა ერთი **განკეთრებული**“ (მარკ. 1:40 DE).

**განკეთრებულზე** მეტად მოსალოდნელი იყო **კეთროვანი**, რომელიც გაცილებით ბუნებრივი ფორმა იქნებოდა, მით უმეტეს, ეს ფორმა მარკოზის სახარებაში დასტურდება:

„და ვითარცა იყო იესუ ბეთანას, სახლსასი მონ **კეთროვნისასა** და ინაჯით-ჯდა იგი, მოვიდა დედაკაცი და აქუნდა ალაბასტრითა ნელსაცხებელი ნარდისა სარწმუნოდა, მრავალ-სასყიდლისა, და შემუსრა ალაბასტრი იგი და დაასხა თავსა მისა“ (მარკ. 14:3 HIK).

როგორც ზემოთ ვნახეთ, გიორგი მთაწმინდელის რედაქციაში ის ხელოვნურობა, რომელიც, ერთი შეხედვით, ახლავს აღნიშნულ ფორმას, მოხსნილია. **განკეთრებული** ამოსავალ ფორმად გულისხმობს ზმნას – **აკეთრებს**, რაც, ცხადია, არ არის ბუნებრივი ფორმა. ეს ვითარება განსაკუთრებით საინტერესოა ძველბერძნულ შესატყვისთან მიმართებით, რომელიც ზედსართავი სახელია და არა მიმღეობა.

მარკოზის სახარების ადიშურ რედაქციაში ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა საინტერესო მიმღეობურმა ფორმამ:

**შეჭუვნებ-ულ-ი**

„და მიხედა მათ მრისხანედ და **შეჭუვნებულად** სიბრმესა ზედა გულისა მათისასა და ჰრქუა კაცდა მას“ (მარკ. 3:5 HIK).

ბერძნულში ამ ფორმის შესატყვისია **στυλπουμένος**.

„καὶ περιβλεψάμενος αὐτοὺς μετ’ ὀργῆς, **στυλπουμένος** ἐπὶ τῆ παρῶσει τῆς καρδίας αὐτῶν, λέγει τῷ ἀνθρώπῳ“ (Μαρκ. 3:5).

**στυλπουμένος** საშუალი/ვნებითი<sup>1</sup> გვარის აწმყო დროის მიმღეობაა. ნამყო დროის მიმღეობით მისი გადმოტანა არ არის მართებული, რაც შესწორებულია მომდევნო რედაქციებში.

**შეჭუვნებული** არ არის **ჭუვის** ზმნის მიმღეობური ფორმა, იგი **ჭუვნების** ფორმისგანაა ნაწარმოები. ამ ფონზე საინტერესოა, რომ **ჭუვნების** ფორმა ჩვენამდე მოღწეულ წერილობით ძეგლებში ჯერ არ გამოვლენილა (ქავთარაძე, 1954: 28).

---

<sup>1</sup> ძველბერძნულში საშუალი და ვნებითი გვარის მიმღეობები, ფორმოზრივი თვალსაზრისით, ხშირად ემთხვევა ერთმანეთს. აქვე შევნიშნავთ, რომ ძველბერძნულ ენასთან მიმართებით მიმღეობათა გრამატიკული გვარის მიხედვით დაყოფა სავსებით გამართლებულია და ამ ენის ბუნებიდან გამომდინარეობს (ურუშაძე, 1969: 134). ეს შეპირობებულია იმით, რომ საუღლებელ ფორმათა კლასიფიკაცია ძველბერძნულ ენაში სწორედ გრამატიკული გვარის საფუძველზე ხდება. ამდენად, მხოლოდ ძველბერძნულ ფორმებზე მსჯელობისას ვიყენებთ აღნიშნულ ტერმინებს.

### შესაკრებელი

და მერმე შევიდა **შესაკრებელსა**, და იყო მუნ კაცი, რომელსა კელი **განკმელ** ედგა (მარკ. 3:1 HIK).

საინტერესოა ფორმა **შესაკრებელი** - წარმოშობით მყოფადის საობიექტო მიმღეობაა, მაგრამ სახარებათა ტექსტში აღნიშნავს სინაგოგას. **სინაგოგა** ბერძნული ტერმინია და ოთხთავის მთარგმნელები მას ქართული შესატყვისით ცვლიან, თითქმის არასოდეს გადმოაქვთ უთარგმნელად.

დასასრულ, ემპირიული მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ მარკოზის სახარების ქართულ რედაქციებში, სტატისტიკურად, საობიექტო მიმღეობა სჭარბობს სასუბიექტოს. თავის მხრივ, საობიექტო მიმღეობაში გაცილებით მეტია სუფიქსიანი ყალიბით ნაწარმოები ფორმები.

ყალიბთა მონაცვლეობის გამოვლენილი შემთხვევები მოწმობს ისტორიულ ცვლილებებს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში, რაც გარკვეულწილად ძველბერძნული ტექსტის გავლენითაც უნდა იყოს შეპირობებული.

### ლიტერატურა

- ადიშის ოთხთავი 897 წლისა. 2003. ზ. სარჯველადის საერთო რედაქციით, თბილისი.
- იმნაიშვილი, ი. 1986. ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი. თბილისი.
- ურუშაძე, ა. 1969. ძველი ბერძნული ენა. თბილისი.
- ფეიქრიშვილი, ჟ. 1992. ქართული ენის მორფოლოგია. ქუთაისი.
- ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია. 1979. გამომც.: ივ. იმნაიშვილი, თბილისი.
- ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია. 1945. რედაქტ. და გამომც.: ა. შანიძე, თბილისი.
- შანიძე, ა. 1973. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I. თბილისი.
- შანიძე, ა. 1976. ძველი ქართული ენის გრამატიკა. თბილისი.
- ჩიქობავა, არნ. 1942. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბილისი.
- ჩიქობავა, არნ. 1942. ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლ, I, თბილისი.
- Aland, B., Aland, K., Karavidopoulos, J., Martini, Carlo, Metzger., 1993. *The Greek New Testament*. Fourth Revised Edition, Stuttgart.
- Мейчен Дж. Грешем. 2012. *Учебник греческого языка Нового Завета*. Москва.

**Structural characteristics of participle forms in the Athonian redaction  
Gospel of Mark**

**Tamaz Devidze**

tamaz.devidze@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.09>

*The participle is an adjective formed from a verb. The analysis of participle forms is traditionally based on the classification of conjugation units. From the point of view of production, the participle forms are diverse, and this diversity is due to the reflection of the data of different stages of language development and several dialect circles. From a morphological point of view, if the frame is still productive, we think that such forms are still participles because the participle frame easily recognizes them. It is possible to talk about the results of the process of substantives only at the syntactic level because language as a system exists only at the syntax level. In the article, we will discuss the participle forms confirmed in the Athonian editions of Mark's Gospel from the point of view of the structure. For the completeness of the analysis, we compared the testimony of other editors with the empirical material. Most importantly, examine the ancient Greek readings of the text.*

**Keywords:** *Participle, structure, Gospel of Mark, redaction, reading.*

A participle is an adjective formed from a verb. The analysis of participle forms is traditionally based on the classification of conjugation units. Based on this, they distinguished active, passive, and middle-gender participles (მანბოძე 1973: 570-572). In the scientific literature, other, much more convenient, and, in our opinion, valid terms have been developed, such as 'subject participles' and 'object participles'.

From the point of view of production, the participle forms are diverse, and this diversity is due to the reflection of the data of different stages of language development and several dialect circles.

Participle frames serve as a means of generating new lexical items. While this is a natural process, one should consider the strong tendency of subject participles to become substantial when analyzing it. As a result of this process, the

derived forms are often considered as nouns (for example: *მწერალი*, *მხატვარი*, *მკურნალი*...).

From a morphological point of view, if the frame is still productive, we think that such forms are still participles because the participle frame easily recognizes them. It is possible to talk about the results of the process of substantives only at the syntactic level because language as a system exists only at the syntax level.

Building on the aforementioned points, in the morphological (structural) analysis, we also consider participle forms that, during the translation and redaction of the Gospel text, have lost their understanding as participles and transformed into nouns. This transformation occurs because, as previously mentioned, it does not alter the presence of the original form in these instances.

#### **A. Subject participle**

As is known, in almost all forms of this type of participle, the *m*-prefix is allocated. According to Arn. Chikobava, it originally referred to the human class (ჩიქობავა 1942: 184).

Past and present tenses can only be expressed by the object participle. From a diachronic point of view, the subject participle served as the present tense, although the understanding of time in these forms gradually became obscured. It is necessary and valuable to clarify this, considering different morphological categories confirmed for the passive forms in the ancient Greek language: tense, gender, rotation, gender, and number. Particularly noteworthy is that in ancient Greek, all members of the verb paradigm (in other words, all tenses) found their participle.

The discussion of the forms confirmed in the Gospel text primarily involves clarifying their relationship with the ancient Greek versions. The extent to which the shadowing of the present tense in the subjective participle can be connected with a long translation tradition is a separate subject of research, but it is a fact that the subject participle conveys, as necessary, the ancient Greek participles expressing different tenses.

Of the proven frames of participles, not all are productive at the synchronous level. For example, the form *‘მო-R-ედ’* is attested in the only participle form; no other instances have yet been identified. The same can be said about *‘მო-R-არ’* and *‘მე-R-ელ’* frames.

We have already mentioned above that the understanding of time is easily obscured in the subject participle. On the contrary, it is one of the main morphological categories for the Greek participle. In Georgian, the category of time is represented solely by participles derived from the verb root ვალ. The Georgian subject participle serves the same content function as the ancient Greek

## თ. ღვევიძე

---

participle, despite different tenses. Let's look at some examples to illustrate this:

„Ὅταν δὲ ἴδητε τὸ βδέλυγμα τῆς ἐρημώσεως **ἑστηκότα** ὅπου οὐ δεῖ, ὁ ἀναγινώσκων νοεῖτω, τότε οἱ ἐν τῇ Ἰουδαίᾳ φευγέτωσαν εἰς τὰ ὄρη“ (Μαρκ. 13:14)

looks like you're discussing the translation of the Greek participle “ἑστηκότα” into Georgian as “მდგომარე.” The term “ἑστηκότα” is indeed a perfect participle in Greek, and “მდგომარე” appears to be the Georgian translation for it.

“Ὅς ἂν ἐν τῶν τοιούτων παιδίων δέξηται ἐπὶ τῷ ὀνόματί μου, ἐμὲ δέχεται· καὶ ὅς ἂν ἐμὲ δέχηται, οὐκ ἐμὲ δέχεται ἀλλὰ τὸν **ὑποστελλαντά** με (Μαρκ. 9:37)

**Ἀποστελλαντά** It is the participle of the aorist. The Georgian reading of this article, according to Giorgi Mtatsmindeli's redaction, is as follows:

„რომელმან ერთი ამათგანი ყრმაღ შეიწყნაროს სახელისა ჩემისათვის, მე შემიწყნაროს; და რომელმან მე შემიწყნაროს, არა მე შემიწყნაროს, არამედ **მომავლინებელი** ჩემი“ (Mark. 9:37 HIK)

The situation is similar in the other redactions of the four Gospels.

„δεδώκει δὲ ὁ **παραδιδούς** αὐτὸν σύσσημον αὐτοῖς λέγων Ὅν ἂν φιλήσω αὐτός ἐστιν· κρατήσατε αὐτὸν καὶ ἀπάγετε ἀσφαλῶς“ (Μαρκ. 14:44)

**παραδιδούς** is a present participle. In Georgian redactions, this form is translated as **მიმცემელსა**.

Among the forms of the subject participle is the so-called verbal noun form – **მ-R-ომ-არე**. There are few verbs that use this form. These are static verbs of the second diathesis (subgroup I), known as mediopassives.

### B. object participles

Object participle in Georgian can only take the past and future tenses. When discussing the subject participle, we referred to Arn. Chikobava's opinion, stating that the მ- prefix in the subject participle form originally indicated the class of a person. Therefore, according to his view, the prefixes ნა- and სა- indicated the class of things in the form of object reception (ჩიქობავა 1942: 184). In the analyzed material, only a few object receptions produced by the prefix form have been confirmed, while the forms produced by the suffix form are incomparably more numerous.

In the analyzed material, both ancient Greek adjectives and nouns are expressed in participle forms. This was expected, as the primary function of adjectives is to determine the noun based on certain characteristics. For example:

„და მოვიდეს მისა და მოაქუნდა **განრღუეული**“ (Mark. 2:3 HIK);

„καὶ ἔρχονται φέροντες πρὸς αὐτὸν **παραλυτικόν**“ (Μαρκ. 2:3).

Finally, the analysis of the empirical material reveals that in the Georgian redaction of Mark's Gospel, object participles statistically prevail over subject

participles. On the other hand, in object reception, there are significantly more forms made with a suffixed structure.

The identified cases of alternation of frames testify to historical changes in the norms of the Georgian literary language, which may be, to some extent, conditioned by the influence of the ancient Greek text.

Consequently, the syntactic function of receivers changes as a result of substantives, reflecting a natural and long-term process.